



ბავშვობა და განათლება

სასწავლო და საინტეგრაციო აქტივობები

თქვენ ხართ ახალი ჩამოსული ქენევაში და ხართ ჰოსპის ქენერალის ბენეფიციარი. გაქვთ შეკითხვები სწავლაზე წვდომის, ფრანგული ენის გაკვეთილების ან ინტეგრაციის ღონისძიების შესახებ? ეს დოკუმენტი მოგაწვდით შესაბამის ინფორმაციებს:

- სავალდებულო განათლება: სავალდებულოა თუ არა სკოლაში სიარული ქენევაში?
- არის თუ არა ელემენტარული განათლების ან გადამსვლელი კლასები ახალბედებისთვის?
- რა სახის განათლების მიღების შესაძლებლობებია | საშუალო სკოლის შემდეგ?
- შემიძლია სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებელში?
- სად შემიძლია მეტი ინფორმაციის მიღება?
- ჰოსპის ქენერალის საინტეგრაციო ღონისძიებები : მაქვს უფლება გავიარო ფრანგულის კურსები?
- შემიძლია მონაწილეობა მივიღო ანაზღაურებად საქმიანობაში?
- მაქვს უფლება, მივიღო დახმარება სამსახურის მოძებნაზე?

სავალდებულო განათლება : სავალდებულოა თუ არა სკოლაში სიარული ჟენევაში?

ჟენევაში, სკოლაში საშუალო განათლება 18 წლამდე სავალდებულოა:

- 4-დან 8 წლამდე: დაწყებითი
- 8-დან 12 წლამდე: საშუალო
- 12-დან 15 წლამდე: ორიენტაციის ციკლი
- 15-დან 18 წლამდე: ყველა ახალგაზრდამ უნდა გაიაროს მოსამზადებელი ან საკვალიფიკაციო ტრენინგები.

დამატებითი ინფორმაციისთვის, შეგიძლიათ ეწვიოთ საჯარო ინსტრუქციის დეპარტამენტის მიერ შექმნილ გვერდს [Bonjour Genève](#).

არის თუ არა ელემენტარული განათლების ან გადამსვლელი კლასები ახალბედებისთვის?

ჟენევაში ახლახან ჩამოსული ახალგაზრდებისთვის არსებობს სპეციალური სტრუქტურები.

ACCESS II მოსწავლეებს ამზადებს ან სასკოლოდ ან მე -12 კლასის პროფესიული სწავლებისთვის.

მეტი ინფორმაციის მისაღებად ACCESS II -თან დაკავშირებით, ეწვიეთ ვებსაიტს [Bonjour Genève](#).

რა სახის განათლების მიღების შესაძლებლობებია ორიენტაციის ციკლის შემდეგ?

რამდენიმე შესაძლებლობა არსებობს გავაგრძელოთ სწავლება ორიენტაციის ციკლის გავლის შემდეგ, ან მიმღებ და გარდამავალ კლასებში (სკოლა, პროფესიონალი).

- PAI (მოსამზადებელი ტექნიკური სასწავლებლისთვის) 1 წელი ან,
- AFP (პროფესიული მომზადების ფედერალური სერთიფიკატი) 2 წელი ან,
- CFC (კომპეტენციის ფედერალური სერთიფიკატი) 3 - 4 წელი ან,
- ზოგადი კულტურის სკოლა 3 წელი ან,
- ბიზნესის სკოლა
- კოლეჯი 4 წელი

ეს სასწავლო კურსები დაგეხმარებათ გზა გაგიხსნათ და მოგამზადდეთ უმაღლესი სასწავლებლისთვის, უნივერსიტეტისთვის და ასე შემდეგ.

შემიძლია სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებელში?

უმაღლეს სკოლებში (უნივერსიტეტები, და ა.შ.) სწავლის გაგრძელება დაუშვებელია.

გამონაკლისი შესაძლებელია: გარკვეულ შემთხვევაში და გარკვეულ სიტუაციაში, აუცილებელია სტუდენტთა მისაღების კომიტეტის წინაშე წარდგენა.

აკადემიური პროგრამა HORIZON:

ჟენევის უნივერსიტეტი გთავაზობთ სოციალურ და აკადემიურ ინტეგრაციის პროგრამას იმ ლტოლვილებისთვის, რომლებმაც შეწყვიტეს თავიანთი ქვეყანაში საუნივერსიტეტო სწავლის კურსი და / ან რომლებმაც უკვე დაასრულეს ერთი ან მეტი სასწავლო კურსი.

სად შემიძლია მეტი ინფორმაციის მიღება?

ჟენევაში, ორიენტაციის, პროფესიული და უწყვეტი განათლების ოფისს (OFPC) შეუძლია მოგაწოდოთ ინფორმაციები შემდეგ მისამართზე:

*OFPC Office pour l'orientation,
la formation professionnelle et continue
Case postale 192
Rue Prévost-Martin 6
1211 Genève 4*



ამ ოფისში ასევე გაეცნობით სტიპენდიის პროგრამის ან სასწავლებლის დახმარების შესახებ ინფორმაციას, და დიპლომის აღიარების პროცედურებს.

ჰოსპის ჟენერალის საინტეგრაციო ღონისძიებები : მაქვს უფლება გავიარო ფრანგულის კურსები?

ფრანგული ენის სწავლება ხელს უწყობს ინტეგრაციას. ჰოსპის ჟენერალში ძირითადი სასწავლო განყოფილებაა ვინც უზრუნველვობს ფრანგული ენის სწავლებას.

რეგისტრაციისთვის, მიმართეთ თქვენს სოციალურ მუშაკს. გადაგამისამართებენ "შეფასების" განყოფილებაში, რათა თქვენს შესაბამის დონეზე ადაპტირებული კურსისთვის დარეგისტრირდეთ.

ასევე შესაძლებელია ფრანგული ენის კურსები სასწავლებლის გარეთ :
იხილეთ ვებსაიტზე Bonjour Genève.

გაითვალისწინეთ ! სანამ დარეგისტრირდებით რაიმე კურსზე, კონსულტაცია გაიარეთ თქვენს სოციალურ მუშაკთან. ჰოსპის ჟენერალი არ აფინანსებს ყველა სახის კურსებს.

შემიძლია მონაწილეობა მივიღო ანაზღაურებად საქმიანობაში?

როდესაც თქვენ ცხოვრობთ საერთო საცხოვრებელ ცენტრში და გსურთ მონაწილეობა მიიღოთ რაიმე საქმიანობაში, არსებობს 3 სახის სოციალურ-პროფესიონალური საქმიანობა :

- AUC - საზოგადოების სასარგებლო საქმიანობა კოლექტიური განსახლების ცენტრებში

საზოგადოების კომუნალური საქმიანობა მიზნად ისახავს სოციალიზაციას ახალ კონტექსტში კოლექტიური განსახლების ერთეულების მაცხოვრებლებისთვის, აგრეთვე სტრუქტურების შიგნით სოციალური მშვიდობის შენარჩუნებას.

- AUP - საზოგადოებრივი სასარგებლო საქმიანობა კოლექტიური განსახლების ცენტრების გარეთ

საზოგადოებრივი კომუნალური საქმიანობა მიზნად ისახავს კოლექტიური განსახლების ერთეულების მაცხოვრებლების საცხოვრებელი ადგილის გარეთ სოციალიზაციას. ისინი ორგანიზებულნი არიან საჯარო ხელისუფლებასთან თანამშრომლობით.

- ADR - რეინტეგრაციის საქმიანობა

რეინტეგრაციის ღონისძიებები საშუალებას გაძლევთ შექმნათ სოციალური ქსელი, რათა გაერთოთ აქტივობის განხორციელებით და ჯგუფში სასარგებლო აღმოჩნდეთ.

არსებობს საქმიანობის სხვადასხვა სფეროები (მხარდაჭერა, ანიმაცია, ადმინისტრირება, სახელმძღვანელო საქმიანობა, კომუნიკაცია, ტექნიკური საქმიანობა, სწავლება).

მაქვს უფლება, მივიღო დახმარება სამსახურის მოძებნაზე?

თქვენი მოტივაციიდან, თქვენი პროფესიული გამოცდილებიდან და ფრანგულის ცოდნიდან გამომდინარე, თუ გსურთ დაიწყოთ პროფესიული ინტეგრაციის საქმიანობა, შეგიძლიათ ჰოსპის ჟენერალიდან მიიღოთ პროფესიონალი ინტეგრაციის მუშაკის დახმარება.

ის დაგეხმარებათ პროფესიონალური პროექტის განსაზღვრაში, რჩევების მომზადებასა და დასაქმების შესახებ და გირჩიოთ შესაბამისი ზომები.